საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/59

ქ. ბათუმი 09 სექტემბერი, 2020 წ.

ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2010 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წელი წარიმართოს შემდეგი განრიგით:

ა) 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2020 წლის 26 ოქტომბერს და დასრულდეს 2021 წლის 14 თებერვალს;

ბ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის 10 იანვრის ჩათვლით;

გ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 15 თებერვლიდან 07 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 09 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით;

დ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2021 წლის 22 მარტს და დამთავრდეს 11 ივლისს;

ე) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 12 ივლისიდან 01 ავისტოს ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 2 აგვისტოდან 8 აგვისტოს ჩათვლით;

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან თვალსაჩინო ადგილზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის

დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**